ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა

ივნისი 2023

საქართველო

შედარებითი ანალიზი: საერთაშორისო ტურიზმის აღდგენა 2022 წელს

PMCG Research

www.pmcresearch.org

ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა

საქართველო

ივნისი 2023

- **2022 წელს საქართველოში უცხოელი ტურისტების რაოდენობის აღდგენის მაჩვენებელი (72%)** აღემატებოდა მსოფლიოსა (63%) და ცენტრალური/აღმოსავლეთ ევროპის (59%) საშუალო მაჩვენებლებს, თუმცა ჩამორჩებოდა ევროპისას (80%).
- ვითარება გაუმჯობესდა **2023 წლის I კვარტალში,** როდესაც საქართველოს აღდგენის მაჩვენებელმა 96%-ს მიაღწია, მაშინ, როცა მსოფლიოში აღდგენის საშუალო მაჩვენებელი 80%-ს უდრიდა, ევროპაში 90%-ს, ხოლო ცენტრალურ/აღმოსავლეთ ევროპაში 59%-ს.
- თუმცა **შერჩეულ შედარებად ქვეყნებს შორის**, რომელთა ეკონომიკის მნიშვნელოვანი წილი ტურიზმის ინდუსტრიაზე მოდის, 2022 წელს ყოველ მათგანში შეინიშნებოდა ტურისტების რაოდენობის მნიშვნელოვანი აღდგენა. ალბანეთმა გადააჭარბა პანდემიამდელ რაოდენობას, მას მოჰყვა საბერძნეთი და ხორვატია აღდგენის მაღალი მაჩვენებლით, ხოლო საქართველოში ტურისტების რაოდენობა ამ ქვეყნებს შორის ყველაზე ნაკლებად აღდგა.
- **რეგიონულ კონტექსტში**, თურქეთმა და სომხეთმა უკეთესი შედეგები აჩვენეს უცხოელი ტურისტების ჩამოსვლის თვალსაზრისით, ვიდრე საქართველომ, როგორც 2022 წელს, ასევე 2023 წლის I კვარტალში.

- 2023 წლის ივნისში საქართველოში **სასტუმროს ფასების ინდექსი (სფი)** 2022 წლის ივნისთან შედარებით 4.7%-ით გაიზარდა. 2023 წლის მაისთან შედარებით, სფი გაიზარდა 6.3%-ით. თვიური ფასების ზრდა ყველაზე მაღალი აჭარასა (28.3%) და გურიაში (14.1%) აღმოჩნდა.

გლობალური ტურიზმის აღდგენის ტენდენციები

- 2022 წელს მსოფლიოში ჯამურად განხორციელებულმა **საერთაშორისო ტურისტულმა ვიზიტებმა** მიაღწია პანდემიამდელი (2019) რაოდენობის 63%-ს - 900 მილიონ ტურისტს, რაც ორჯერ აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. აღდგენა გაგრძელდა 2023 წლის I კვარტალშიც, როდესაც საერთაშორისო მასშტაბით 235 მილიონმა ტურისტმა იმოგზაურა, რაც შეადგენს პანდემიამდელი მაჩვენებლის 80%-ს, ხოლო 2022 წლის პირველ კვარტალს 111%-ით აღემატება[1].

- თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ **2023 წელს მოსალოდნელია საერთაშორისო ტურიზმის აღდგენის გაგრძელება**, UNWTO-ს მიერ გამოკითხული ექსპერტების უმეტესობას კვლავ მიაჩნია, რომ საერთაშორისო ტურიზმი 2019 წლის დონეს 2024 წლამდე არ დაუბრუნდება. მომავალი მთავარი გამოწვევები მოიცავს ტრანსპორტირებისა და განთავსების ხარჯების გაზრდას მაღალი ინფლაციის გამო, რასაც მოჰყვება რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად გამოწვეული არასტაბილურობა.

მსოფლიოს რეგიონებში საერთაშორისო ტურისტების რაოდენობის ცვლილება 2022 წელს 2019 წელთან შედარებით



საერთაშორისო ტურისტების რაოდენობის ცვლილება 2022 წელს 2021 და 2019 წლებთან შედარებით



წყარო: გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია (UNWTO)

- მსოფლიოს რეგიონებს შორის 2022 წელს **ახლო აღმოსავლეთში** ტურისტთა რაოდენობა 83%-მდე აღდგა პანდემიამდელ მაჩვენებელთან შედარებით, რასაც მოჰყვა **ევროპა** (79%) - მსოფლიოს უდიდესი ტურისტული დანიშნულების რეგიონი. ეს ტენდენცია გაგრძელდა 2023 წლის I კვარტალში, როდესაც ახლო აღმოსავლეთში ტურისტების რაოდენობამ გადააჭარბა (15%-ით), ხოლო ევროპამ თითქმის (10%-ით) მიაღწია პანდემიამდელ რიცხვს.

- **ევროპის ქვერეგიონებს შორის,** ყველაზე მაღალი წლიური ზრდა დაფიქსირდა ჩრდილოეთ ევროპაში (227%), თუმცა აღდგენის მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო სამხრეთ/ხმელთაშუა ზღვის ევროპაში (88%). 2022 წელს ცენტრალურმა/აღმოსავლეთ ევროპამ[2] აჩვენა ყველაზე დაბალი წლიური ზრდა (58%) და აღდგენა (59%). 2023 წლის I კვარტალში ეს მდგომარეობა შენარჩუნდა, სამხრეთ/ხმელთაშუა ზღვის ევროპაში ტურისტების რაოდენობა ყველაზე მეტად აღდგა, ხოლო ცენტრალურ/აღმოსავლეთ ევროპაში აღდგენის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა.

1 UNWTO მსოფლიო ტურიზმის ბარომეტრი - იანვარი, 2023
2 UNWTO-ს კლასიფიკაციის მიხედვით, კავკასია და ცენტრალური აზია მიეკუთვნება ევროპის ქვე-რეგიონს - ცენტრალურ/აღმოსავლეთ ევროპას

საერთაშორისო და რეგიონული ბენჩმარკინგი

- **საქართველოში უცხოელი ტურისტების რაოდენობის აღდგენის მაჩვენებელი (72%)** აღემატებოდა მსოფლიოსა (63%) და ცენტრალური/აღმოსავლეთ ევროპის (59%) საშუალო მაჩვენებლებს, თუმცა ჩამორჩებოდა ევროპისას (80%). ვითარება გაუმჯობესდა 2023 წლის I კვარტალში, როდესაც საქართველოს აღდგენის მაჩვენებელმა 96%-ს მიაღწია, მაშინ, როცა მსოფლიოში საშუალო აღდგენის მაჩვენებელი 80%-ს უდრიდა, ევროპაში 90%-ს, ხოლო ცენტრალურ/აღმოსავლეთ ევროპაში - 59%-ს.
- გლობალურ საშუალო მაჩვენებლებთან შედარების გარდა, მნიშვნელოვანია საქართველოს ტურიზმის აღდგენის შეფასება, როგორც **საერთაშორისო საორიენტაციო ქვეყნებთან შედარებით**[3], ასევე **რეგიონულ კონტექსტში.**

საერთაშორისო ტურისტების რაოდენობის ცვლილება 2022 წელს 2019 წელთან შედარებით



წყარო: გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია (UNWTO)

3 შედარებითი ანალიზისთვის ქვეყნები USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში - სექტორების და ღირებულებათა ჯაჭვების ანალიტიკური რეპორტისთვის შეირჩა PMC კვლევითი ცენტრის მიერ. შერჩევა დაფუძნებული იყო სამ ინდიკატორზე: ეკონომიკის ტურიზმზე მაღალი დამოკიდებულება, მსგავსი ზომა და გეოგრაფია.

- **საერთაშორისო საორიენტაციო ქვეყნებს შორის,** 2022 წელს ყოველ მათგანში შესამჩნევი იყო ტურისტების რაოდენობის მნიშვნელოვანი აღდგენა. ალბანეთმა პანდემიამდელ რიცხვს 18%-ით გადააჭარბა. მას მოჰყვა საბერძნეთი და ხორვატია, რომლებმაც მიაღწიეს პანდემიამდელი მაჩვენებლის 89%-ს და 88%-ს. აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნებს შორის საქართველოში აღდგენის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა. 2023 წლის I კვარტალში საქართველოს მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, რადგან საქართველოში უცხოელი ტურისტების რაოდენობა თითქმის აღდგა 2019 წლის I კვარტლამდე (96%), რაც შედარებით უკეთესი მაჩვენებელია, ვიდრე ხორვატიაში დაფიქსირებული (91%).
- **რეგიონულ კონტექსტში,** 2022 წელს აზერბაიჯანში არ შეინიშნება ტურისტების რაოდენობის მნიშვნელოვანი აღდგენა (49%-ით ნაკლები 2019 წელთან შედარებით). 2022 წელს თურქეთში უცხოელი ტურისტების რაოდენობა (98%) თითქმის აღდგა. აღსანიშნავია, რომ სომხეთში საქართველოზე მაღალი აღდგენა დაფიქსირდა. ანალოგიური ვითარება შენარჩუნდა 2023 წლის I კვარტალშიც: სომხეთმა (24%-ით) და თურქეთმა (9%-ით) გადააჭარბეს პანდემიამდელ მაჩვენებლებს და ლიდერობდნენ რეგიონში, ხოლო აზერბაიჯანში აღდგა პანდემიამდელი მაჩვენებლების მხოლოდ 60%-მდე.

სასტუმროს ფასების ინდექსი საქართველოში

- საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[4] 2023 წლის ივნისში, 2023 წლის მაისთან შედარებით, 6.3%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 7.8%-ით გაიზარდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 0.9%-ით შემცირდა.
- თვიური ინდექსი ყველაზე მაღალი აჭარასა (28.2%) და გურიაში (14.1%) აღმოჩნდა, ყველაზე ნაკლები კი თბილისში (-1.6%).
- 2023 წლის ივნისში, 2022 წლის ივნისთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 4.7%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 3.6%-ით გაიზარდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 0.8%-ით შემცირდა.
- წლიური ინდექსი ყველაზე მაღალი იყო შიდა ქართლში (33.0%), ყველაზე დაბალი კი თბილისში (-5.2%).

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2023 ივნ/ 2023 მაი	2023 ივნ/ 2022 ივნ	2023 ივნ/ 2023 მაი	2023 ივნ/ 2022 ივნ	2023 ივნ/ 2023 მაი	2023 ივნ/ 2022 ივნ
კახეთი	2.9%	10.7%	9.6%	8.5%	0.1%	11.3%
იმერეთი	-0.2%	3.8%	0.7%	-1.8%	-0.9%	7.6%
გურია	14.1%	17.3%	11.3%	4.5%	18.4%	66.2%
ქვემო ქართლი	0.0%	10.0%	0.0%	10.0%	-	-
აჭარა	28.2%	15.6%	31.8%	13.0%	19.3%	24.1%
რაჭა	4.6%	21.0%	-	-	4.6%	21.0%
შიდა ქართლი	6.0%	33.0%	3.5%	20.8%	7.7%	53.6%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	0.9%	24.0%	2.2%	22.0%	-0.6%	25.5%
სამცხე-ჯავახეთი	-1.2%	17.9%	1.2%	14.6%	-2.4%	20.6%
მცხეთა-მთიანეთი	2.4%	15.7%	3.2%	19.2%	1.4%	11.6%
თბილისი	-1.6%	-5.2%	-1.0%	-4.4%	-9.5%	-20.3%
სულ ფასების % ცვლილება	**6.3%**	**4.7%**	**7.8%**	**3.6%**	**-0.9%**	**-0.8%**

4 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით. ასევე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთი რეგიონისთვის (როგორიცაა შიდა ქართლი და რაჭა), საკმაოდ მცირეა მონაცემთა ბაზაში არსებული სასტუმროების რაოდენობა, შესაბამისად ინდექსი სრულად ვერ ასახავს რეგიონში არსებულ სასტუმროს ფასების ცვლილების ტენდენციას.

სასტუმროს საშუალო ფასები

- 2023 წლის ივნისში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[5] **186 ლარი** შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - **262 ლარი**. საოჯახო ტიპის სასტუმროების[6] საშუალო ფასმა **133 ლარი** შეადგინა.

- 5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა ივნისში **485 ლარი** შეადგინა. გურიაში ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 646 ლარი შეადგინა, კახეთში - 556 ლარი, აჭარაში - 516 ლარი, ხოლო თბილისში - 512 ლარი.

3*, 4* და საოჯახო ტიპის სასტუმროთა საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (2023 ივნისი, ლარი)



5 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

6 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები

	2016	2017	2018	2019	2020	2021	I 2022	II 2022	III 2022	IV 2022	2022	I 2023	II 2023
მშპ მიმდინარე ფასებში განთავსების საშუალებებისა და საკვები ობიექტების აქტივობებიდან (მლნ)	1054.1	1437.5	1800.0	2223.0	1204.5	1783.6	360.9*	536.2*	831.1*	646.2*	2374.5*	436.8*	-
საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა (ათასი)	6720.0	7902.5	8679.5	9357.9	1747.1	1881.3	576.5	1049.4	2266.7	1534.3	5426.9	1208.5	1651.70
ტურისტების რაოდენობა (ათასი)	3297.3	4069.4	4756.8	5080.5	1087.0	1577.5	456.0	749.3	2082.6	948.8	3652.9	845.3	1085.2
საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავალი (მლნ აშშ დოლარი)	2110.7	2704.3	3222.1	3268.7	541.7	1244.9	393.7	748.8	1374.7	999.5	3516.6	795.4*	-
ქართველი მოგზაურების დანახარჯები საზღვარგარეთ (მლნ აშშ დოლარი)	386.3	463.6	524.7	657.2	180.5	184.7	72.2*	103.5*	118.6*	114.3*	408.6*	105.0*	-
პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ჰორეკა სექტორში (მლნ აშშ დოლარი)	118.1	111.4	106.0	119.3	-247.2	-7.4	10.6*	6.9*	16.1*	-2.0*	31.5*	4.3*	-

* პირველადი მონაცემები

სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMC კვლევითი ცენტრი არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;

რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევასა ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგელობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არააღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზე.

გიორგი ხიშტოვანი
კვლევითი დირექტორი
g.khishtovani@pmcginternational.com

ნიკა კაპანაძე
მკვლევარი
n.kapanadze@pmcginternational.com

ნანა ქაჯაია
უმცროსი მკვლევარი
n.kajaia@pmcginternational.com

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3 სართული, თბილისი, 0102, საქართველო.
ტელ: (+995 32) 2921171, 2921181
ელ. ფოსტა: research@pmcginternational.com
ვებსაიტი: pmcresearch.org